# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№41 (9.802)
21 – 28 ოქტომბერი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


## ვინ არიან და რა უფლებები აქვთ მერებს და საკრებულოს დეპუტატებს?



გვ.3



გვ.2

## კახეთში „რთველი – 2017“ დასრულდა

## თვითმმართველობის არჩევნებისთვის 9 546 450 ბიულეტენი დაიბეჭდა

გვ.2

## კახეთში საშემოდგომო ხვნის სამუშაოები აქტიურ ფაზაში შევიდა



გვ.2



გვ.5

## გაჭიანურებული ტენდერი და შეწყვეტილი რეაბილიტაცია



გვ.2

## ისლანდიელი მუსიკოსი ბიორკი საქართველოში ჩამოვა

## ჯვრის მონასტერზე არაბულად



## ალაჰ აკბარ დააწერეს

გვ.2

## ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 21 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

## თამარ ჟვანია - არ არსებობს არც ინფორმაცია და არც რაიმე საფუძველი, რომ ყიზილაჯლოში მომხდარი ფაქტი პოლიტიკურ ან საარჩევნო გარჩევას დაუკავშირდეს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას შეფასებით, სოფელ ყიზილაჯლოში მომხდარი ცალსახად კრიმინალური ფაქტია.

მისივე თქმით, არ არსებობს ინფორმაცია და რაიმე საფუძველი, რომ ეს შემთხვევა პოლიტიკურ ან საარჩევნო გარჩევას დაუკავშირდეს.

„აქ მთავარია ადამიანების სიცოცხლე. მნიშვნელოვანია, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რაც შეეხება შეფასებას, არ არსებობს არც ინფორმაცია და არც რაიმე საფუძველი, რომ ეს ფაქტი პოლიტიკურ ან რაიმე საარჩევნო გარჩევას დაუკავშირდეს. თუმცა ცხადია, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოხდეს დაუყოვნებლივი გამოძიება და დამნაშავეების დასჯა", - განაცხადა თამარ ჟვანიამ.

ყიზილაჯლოში „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბთან 19 ოქტომბერს დაპირისპირება მოხდა.

საარჩევნო შტაბის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაუდგენელმა პირმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 4 პირი დაჭრა.

დაჭრილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

## თვითმმართველობის არჩევნებისთვის 9 546 450 ბიულეტენი დაიბეჭდა

21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის 9 546 450 ბიულეტენი დაიბეჭდა. ამომრჩეველთა ერთიან სიაში 3 440 123 ამომრჩეველია.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ეთნიკური უმცირესობებისთვის ბიულეტენები ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე დაიბეჭდა. ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე ბიულეტენები 208 საარჩევნო უბანს მიეწოდება, ხოლო ქართულ-სომხურ ენებზე - 133 საარჩევნო უბანს. ასევე, ოთხი საარჩევნო უბნისთვის დაიბეჭდება სამენოვანი ბიულეტენები (ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხურ ენებზე).

ცესკოს ცნობით, ინოვაციური სერვისი შესთავაზეს ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს - ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ინფორმაციის მიღება მათ ვიდეო ზარის განხორციელებით, ჟესტურ ენაზე შეუძლიათ.

## თამარ ალანია უვადო მოსამართლე გახდა



თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სამოქალაქო საქმეთა პალატაში, გვანცა ყუფარაძის განმხილველი მოსამართლე და იუსტიციის საბჭოს წინა შემადგენლობის წევრი თამარ ალანია, საბჭოს წევრთა სრული მხარდაჭერით, მოსამართლის მანტიას უვადოდ მოირგებს.

ამის შესახებ გადაწყვეტილება, იუსტიციის საბჭომ ცოტა ხნის წინ მიიღო.

საბჭომ, იუსტიციის საბჭოს ძველი შემადგენლობის კიდევ ერთი წევრი, მერაბ გაბინაშვილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სამოქალაქო საქმეთა პალატაში, 11 ხმით უვადოდ გაამწესა.

უვადოდ გამწესდა, 10 ხმით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი წევრი, დიმიტრი გვრიტიშვილიც.

დღეს საბჭომ უვადოდ განმწესების მსურველ 38 მსურველს უყარა კენჭი.

## კახეთში საშემოდგომო ხვნის სამუშაოები აქტიურ ფაზაში შევიდა



კახეთის რეგიონში საშემოდგომო ხვნის სამუშაოები აქტიურ ფაზაში შედის. სამუშაოების ჩასატარებლად დედოფლისწყაროს სერვისცენტრში 82 ერთეული ტრაქტორია მობილიზებული.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ტექნიკა სრულად ჩაერთვება სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავების პროცესში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 1000 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი დამუშავდა, სამუშაოები გრძელდება პატარა შირაქში.

აღსანიშნავია, რომ სახნავ-სათესი მიწის ხარისხიანი დამუშავება ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად.

## კახეთში რთველი - 2017 დასრულდა



კახეთში „რთველი -2017" დასრულდა. თელავში მდებარე რთველის საკოორდინაციო შტაბმა 20 ოქტომბერს მუშაობა შეწყვიტა. საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელის გიორგი სამანიშვილის თქმით, ყურძნის მოსავალის დაბინავება, მიმდინარე რთველის პერიოდში გართულებების გარეშე წარიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ წელს სუბსიდირება არ განხორცილებულა, კერძო და სახელმწიფო ღვინის კომპანიებმა 125 ათასი ტონა ყურძენი შეისყიდეს. მთლიანად რეგიონში 150 ათასმა გლეხმა ჩააბარა ყურძენი, რამაც ჯამში 148 მილიონი ლარი შეადგინა. „რთველი -2017"-ის საკოორდინაციო შტაბი კახეთში 24 აგვისტოდან ფუნქციონირებდა.

## ისლანდიელი მუსიკოსი ბიორკი საქართველოში ჩამოვა

როგორც შჩუ ფესტივალის დამფუძნებელი სანდრო ლომინაშვილი აღნიშნავს, ისლანდიელი მუსიკოსი საქართველოში მუსიკალურ ექსპედიციასაც დათანხმდა და ქართული მუსიკის გაცნობის მიზნით საქართველოს ოთხ რეგიონში ჩავა.

„ბიორკი ისეთი არტისტია, რომელსაც უბრალოდ კონცერტების ჩატარება არ აინტერესებს ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, რომელსაც გააჩნია უდიდესი მუსიკალური მემკვიდრეობა. ჩვენ შევთავაზეთ მას და ის სიხარულით დათანხმდა საქართველოში მუსიკალურ ექსპედიციას. ამ ექსპედიციის ფარგლებში ბიორკი გაეცნობა ქართული მუსიკის ოთხ სხვადასხვა ფორმას და იმოგზაურებს ქვეყნის ოთხ რეგიონში: სვანეთში, ზემო აჭარაში, გურიასა და კახეთში", - განაცხადა სანდრო ლომინაშვილმა.

მისივე თქმით, თბილისში ბიორკის კონცერტზე ხალხი ძალიან შორი მანძილიდან მოდის, გარდა ევროპული ქვეყნებისა, ბიორკის კონცერტების ბილეთებს ყიდულობენ მადაგასკარსა და მავრიტანიაში.

როგორც საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის დირიჟორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკოლოზ რაჭველმა აღნიშნა, ბიორკი არის ისტორიული პერსონა, ვინაიდან მან შექმნა ახალი მუსიკალური ჟანრი.

ბიორკის კონცერტი 31 ოქტომბერს თბილისის საკონცერტო დარბაზსა და 3 ნოემბერს ოპერისა და ბალეტის თეატრში 21:00 საათზე დაიწყება.

## ჯვრის მონასტერზე არაბულად ალაჰ აკბარ დააწერეს

***სოციალური ქსელის მეშვეობით მოქალაქე ნინო ანდრიასოვამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჯვრის მონასტრის კედელზე გაუგებარი წარწერები გაჩნდა: „დღეს ვიყავი სტუმრებთან ერთად ჯვარზე და რა ვნახე... ჯვრის კედლებზე წარწერები თურქულად, არაბულად და ლათინურადაც არის. რატომ არავინ აქცევს ყურადღებას ჩვენთან ასეთი ფორმის ვანდალიზმს?"***

მან ამ ფაქტის დასადასტურებლად ფოტოებიც გამოაქვეყნა. ამ შემთხვევას საზოგადოება გამოეხმაურა, შსს-მ კი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მეორე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილით დაიწყო, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ჯვრის მონასტრის ჩრდილოეთ კედელზე, სავარაუდოდ, არაბულ ენაზე საკუთარი სახელები წერია. თუმცა, შესაძლოა, საქმე ასე მარტივადაც არ იყოს.



საუბრობს ა გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი **გიორგი სანიკიძე:**. „ჩემი აზრით, ეს რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლინებაა"

**ბადრი ნაჭყებია**, ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელი: - ჩემი აზრით, ვინც ეს დაწერა, გაჟღენთილია რელიგიური ექსტრემიზმის იდეით, ტოლერანტობის მიუღებლობით და ცინიზმით! ჩემი აზრით, ეს არის რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლინების კლასიკური მაგალითი.

სამწუხაროდ, ჩვენთან რელიგიური ექსტრემიზმის პროპაგანდა სერიოზულად მიმდინარეობს და ეს სხვადასხვა ფორმით ხდება... ჯვრის მონასტრის კედელზე ამ წარწერების გაჩენაც იმას მიანიშნებს, რომ ვიღაცა ჩვენი რელიგიის დაკნინებას ცდილობს. საქმე ის არის, რომ რადიკალურ ექსტრემიზმთან ბრძოლის ხაზი რელიგიური განათლების დონის ამაღლებაზე გადის. დიახ, მუსლიმანური რელიგიის მოღვაწეებმა, რომლებიც საქართველოში არიან, რადიკალურ იდეებს უნდა დაუპირისპირონ ის კლასიკური ტოლერანტიზმი, რომელიც ტრადიციულ ისლამში მართლაც არსებობს.

**„ისლამი ამას არ ქადაგებს..."**

დეკანოზი დავით შარაშენიძე, **საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი:** - არ აქვს მნიშვნელობა, ტაძრის კედელზე „ალაჰ აქბარი" იქნება მიწერილი თუ უბრალოდ, ვინმეს სახელი. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის ვანდალიზმი, მიუღებელი ქმედება, რაც მართლმადიდებლური ტაძრის წინააღმდეგ არის მიმართული. ძალიან რთულია დადგენა, ვინ დგას ამის უკან და რა მიზნით ჩაიდინა ეს. არ ვიცი, პროვოკაციიის მიზნით ნამოქმედარია თუ მკრეხელობის გამოვლინებაა. ვიმედოვნებ, ამას გამოძიება დაადგენს.

**„შესაძლოა, ეს იყოს მთავარი მესიჯი"**

გიორგი სანიკიძე: - შეიძლება ეს წარწერები ისეთი სახიფათო არ არის, როგორც გვეჩვენება, მაგრამ ვანდალური ფაქტია. თუმცა, მართლმადიდებლური ტაძრის კედელზე წაწერილი - „ალაჰ აქბარ" - შეიძლება ისლამური რადიკალიზმის გამოვლინებაც იყოს. ამ ფაქტით გამოძიება უნდა დაინტერესდეს. საქართველოში „ალაჰ აქბარ" ქრისტიანული ეკლესიის კედელზე არასდროს დაუწერიათ.

# ვინ არიან და რა უფლებები აქვთ მერებს და საკრებულოს დეპუტატებს?

21 ოქტომბერს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ამ დღეს საქართველოს მოქალაქეები მთელი ქვეყნის მასშტაბით 64 საკრებულოს 2058 დეპუტატს და 64 მერს პირდაპირი წესით, 4 წლის ვადით აირჩევენ. არჩევნებისათვის 23 პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი და 225 საინიციატივო ჯგუფი დარეგისტრირდა.

**თვითმმართველობა რა არის?**

ეს არის საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა. ქვეყნის მთავარი კანონი მას მმართველობის დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთ აუცილებელ საფუძვლად და პირობად აღიარებს.

უფრო კონკრეტულად კი, თვითმმართველობა მოქალაქეების უფლებაა, კონკრეტულ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე აირჩიონ ადგილობრივი ხელისუფლება და მასთან ერთად მოიწყონ კომფორტული საცხოვრებელი გარემო: მოაწესრიგონ ეზოები და სადარბაზოები, იზრუნონ იმაზე, რომ შვილებმა კარგ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ისწავლონ, იზრუნონ გზებისა და ტრანსპორტის განახლებაზე, სკვერების, პარკებისა და სპორტული მოედნების კეთილმოწყობაზე; ანუ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის (საკუთარი სოფლის, დაბის თუ ქალაქის) საკითხები - რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში, ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით და სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად.

**თვითმმართველობას რა კანონები არეგულირებს?**

ძირითადად ორი კანონი: თვითმმართველობის კოდექსი და საარჩევნო კოდექსი. პირველი - თვითმმართველობის საქმიანობას განსაზღვრავს, მეორე - მის არჩევის წესს. არის კიდევ ერთი კანონი - საჯარო სამსახურის შესახებ, რომელითაც თვითმართველი ორგანოების მოხელეთა სტატუსია განსაზღვრული.

**რამდენი თვითმმართველი ერთეულია საქართველოში?**

საქართველოში ორი სახის თვითმმართველი ერთეულია: სათემო მუნიციპალიტეტი, იგივე თვითმმართველი თემი და თვითმმართველი ქალაქი. საქართველოში 5 თვითმმართველი ქალაქი და 59 თვითმმართველი თემია.

თვითმმართველი ქალაქებია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი. თვითმმართველი თემებია, მაგალითად, ზუგდიდი, სენაკი, ახალციხე, ნინოწმინდა და სხვ.

თუ თვითმმართველი ქალაქი დასახლებაა, სათემო მუნიციპალიტეტი - დასახლებათა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს სოფელსაც, დაბასაც და ქალაქსაც. ადმინისტრაციული საზღვრების გარდა, თემებს ადმინისტრაციული ცენტრიც აქვთ - სათემო მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქს უწოდებენ (მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპლიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი ზუგდიდია).

თვითმმართველი თემები ძველი ეგრეთ წოდებული რაიონებია. 2006 წლის შემდეგ მათ მუნიციპალიტეტები ჰქვიათ, თუმცა ადმინისტრაციული საზღვრები იგივეა, როგორიც დამოუკიდებლობამდე ანუ საბჭოთა საქართველოს დროს იყო.

**კიდევ რა სხვაობაა თვითმმართველ ქალაქებს და სათემო მუნიციპალიტეტებს შორის?**

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა თვითმმართველი ერთეულების სტატუსებს შორის სხვაობას, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, მოსახლეობის რაოდენობითაც განსაზღვრავს. საქართველოს კანონმდებლობა (თვითმმართველობის კოდექსი) ასეთ კრიტერიუმებს არ ადგენს, ის ამ ერთეულების მხოლოდ სტატუსს განსაზღვრავს.

**ესე იგი ყველა საკრებულოში წევრების რაოდენობა ერთნაირია?**

არა. თუ თვითმმართველი ერთეულის სტატუსის განსაზღვრისას მოსახლეობის რიცხვი განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის, არჩევნების დროს ამომრჩევლის რაოდენობა (საარჩევნო კოდექსით) მთავარი კრიტერიუმი ხდება. ამის გამო, თვითმმართველ თემებში საკრებულოს წევრთა რაოდენობა შეიძლება განსხვავებული იყოს.

სათემო მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება პროპორციული სისტემით (პარტიული სიით) არჩეული 15 წევრისგან და ამ მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა თემიდან (სოფლების გაერთიანება, დაბა, ადმინისტრაციული ცენტრი) არჩეული მაჟორიტარი დეპუტატებისგან. რაც უფრო მეტი თემი შედის მუნიციპალიტეტში, მით უფრო დიდია მისი საკრებულოს წევრთა შემადგენლობა მაჟორიტარი დეპუტატების ხარჯზე. იმავდროულად, თუ ერთი თემის ამომრჩეველი მხოლოდ ერთ დეპუტატს ირჩევს, ადმინისტრაციული ცენტრის წარმომადგენლობა საკრებულოში, ამ ცენტრის (ქალაქის) ამომრჩევლების რაოდენობაზეა დამოკიდებული. კერძოდ, ქალაქი, რომელსაც 4-დან 10 ათასამდე ამომრჩეველი ჰყავს, 2 მაჟორიტარ დეპუტატს ირჩევს, თუ 10-დან 20 ათასამდე - 3-ს, თუ 20-დან 35 ათასამდე - 4-ს, ხოლო თუ 35 ათასსზე მეტი - 5 მაჟორიტარ დეპუტატს.

სათემო მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, თვითმმართველ ქალაქებში საკრებულოს დეპუტატების რაოდენობა ლიმიტირებულია. ბათუმის, ფოთის, რუსთავის და ქუთაისის საკრებულოებში პროპორციული სისტემით (პარტიული სიით) არჩეული 15, ხოლო მაჟორიტარული წესით არჩეული 10 დეპუტატია.

რაც შეეხება თბილისის საკრებულოს, რომელიც, იმავდროულად, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოცაა, ის შედგება 50 წევრისგან, რომელთაგან 25 - პარტიული სიით არჩეული დეპუტატია, ხოლო 25 - მაჟორიტარი.

**საკრებულოს დეპუტატები ვინ არიან და რა უფლებები აქვთ?**

საკრებულოს დეპუტატი შეიძლება იყოს არჩეული როგორც პროპორციული (ანუ პარტიული სიით), ისე მაჟორიტარული სისტემითაც (ინდივიდუალურად). მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი შეიძლება პარტიამაც წარადგინოს (პარტიული კანდიდატი) და საინიციატივო ჯგუფმაც (უპარტიო, დამოუკიდებელი კანდიდატი). ის უნდა იყოს, სულ ცოტა, 21 წლის.

არჩევნებში გამარჯვებისთვის საკრებულოს დეპუტატებს საარჩევნო ბარიერის გადალახვა არ სჭირდებათ. პროპორციულ და მაჟორიტარულ არჩევნებშიც გამარჯვებულად ის პარტია და კანდიდატი ითვლება, რომელიც სხვებზე მეტ ხმებს მიიღებს.

საკრებულოში დეპუტატების უმრავლესობა საზოგადოებრივ საწყისებზე, უხელფასოდ მუშაობს. ასეთ დეპუტატებს სხვაგან მუშაობის უფლებაც აქვთ. მათ ბიუჯეტიდან მხოლოდ სამეურნეო ხარჯებს უნაზღაურებენ, მაგრამ ასეთი ხარჯების პრემიების და დანამატების სახით ანაზღაურება კანონით აკრძალულია. ხელფასები მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირებს აქვთ. ესენი არიან საკრებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, ფრაქციების და კომისიების თავმჯდომარეები, რომლებსაც საკრებულოს დაკომპლექტების შემდეგ დეპუტატები ირჩევენ.

საკრებულოს დეპუტატების უფლებამოსილებები ყველა მუნიციპალიტეტში ერთნაირია. მათი საქმიანობის მთავარი არსი ისაა, რომ გამორჩეულად ლოკალური საკითხებით არიან დაკავებულები და მერის საქმიანობის მაკონტროლებლების ფუნქციას ასრულებენ. წყვეტენ იმას, თუ რაზე დახარჯონ ბიუჯეტი, განაგებენ მუნიციპალური ქონების, საწარმოების და დაწესებულებების ბედს, განსაზღვრავენ ადგილობრივ გადასახადებს, მოსაკრებლებს და ასე შემდეგ.

**მერებს რა უფლებები აქვთ და როგორ ვირჩევთ?**

მერი მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც ანგარიშვალდებულია არამხოლოდ მოსახლეობის, არამედ საკრებულოს წინაშეც. ის შეიმუშავებს ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს, ასევე წარუდგენს დეპუტატებს გადასახადებზე და მოსაკრებლებზე მომზადებულ გადაწყვეტილებებს, ათანხმებს მათთან მუნიციპალური ქონების საკითხებსაც, თუმცა საკადრო გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს. თბილისის გარდა, ყველა სათემო მუნიციპალიტეტში და თვითმმართველ ქალაქში მერი თვითონ ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი სამსახურების ხელმძღვანელებს.

საკრებულოს დეპუტატებისგან განსხვავებით, მერის ასარჩევად, რომელიც 25 წელზე ახალგაზრდა არ უნდა იყოს, ხმების უბრალო უმრავლესობა საკმარისი არ არის. ის არჩეულად ითვლება მაშინ, თუ მას მხარს დაუჭერს 50%-ზე მეტი ამომრჩეველი. თუ პირველ ტურში მერობის ვერცერთი კანდიდატი საკმარის ხმებს ვერ აგროვებს, მეორე ტურში გამარჯვებულად ითვლება კანდიდატი, რომელიც ამომრჩევლებისგან მეტ ხმას დააგროვებს.

მერმა თანამდებობა შეიძლება დაკარგოს იმპიჩმენტის ან უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში. უნდობლობის პროცედურა მის წინააღმდეგ შეიძლება დაიწყოს, როგორც საკრებულოს დეპუტატების, ისე ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-ის ინიციატივით. იმპიჩმენტის საფუძველი სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს, მაგრამ კანონში არაფერი წერია იმაზე, თუ რა შეიძლება გახდეს მის მიმართ უნდობლობის პროცედურის დაწყების საფუძველი.

მერები, მათი მოადგილეები და საკრებულოს თანამდებობის პირები პოლიტიკური თანამდებობის პირებად ითვლებიან.

# რა რისკები არსებობს არჩევნების დღისთვის

არჩევნების დღისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრო საგანგებო რეჟიმზე გადადის. საზოგადოებას, პოლიტიკურ ძალებსა და სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებს პრემიერ-მინისტრმაც მიმართა და მშვიდი წინასაარჩევნო გარემოს შენარჩუნებისკენ მოუწოდა. გიორგი კვირიკაშვილმა ძალოვან უწყებებსაც მიმართა, რომ ნებისმიერი სახის ძალადობის მცდელობა დროულად აღკვეთონ. როგორ აფასებს წინასაარჩევნო გარემოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და რას გეგმავს უწყება არჩევნების დღის მშვიდად ჩატარებისათვის? ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი საუბრობს.

**-ჩვენ ბევრნაირი მოსაზრება მოვისმინეთ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს არჩევნებამდელი პერიოდი. თქვენ რას იტყვით, რამდენად რთული იყო ის, როგორ მოვედით არჩევნებამდე?**

-ჩვენი გადმოსახედიდან საერთო შეფასება არის ის, რომ წინასაარჩევნო პროცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. რამდენიმე ინციდენტი იყო, რამდენიმეზე - გამოძიება დაწყებულია, თუმცა ეს საერთო სურათს არ ცვლის და ჩვენი შეფასებით, წინასაარჩევნო პროცესი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა.

**– რაც შეეხება იმ რეჟიმს, რომელშიც სამართალდამცველები იმუშავებენ არჩევნების დღეს და ალბათ, შემდგომ დღეებშიც. რა ზომებს მიმართავს თქვენი უწყება?**

– პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ რეჟიმზე მართლაც გადასულია. რაც გულისხმობს იმას, რომ ერთი მხრივ, ყველა თანამშრომელს შეუზღუდავად აქვს უფლება ხმა მისცეს და თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადოს, მაგრამ პარალელურ რეჟიმში ვართ მობილიზებულები იმ კუთხით, რომ პოლიციამ პირველ რიგში, განახორციელოს პრევენცია და თუ რამე ინციდენტი მოხდა - სწრაფი რეაქცია გვქონდეს. ჩვენ შეფასებული გვაქვს რისკები საოლქო კომისიების მიხედვით და შესაბამისად, პოლიციის ძალები საარჩევნო უბნებთან გადანაწილდებიან. რა თქმა უნდა, არა ყველა უბანთან, მაგრამ იმ ადგილებში, სადაც მეტ-ნაკლებად საჭიროა. პოლიცია იქნება ხილვადი. ანუ საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე პოლიციის თანამშრომლებს ექნებათ გარკვეული ვიზუალური კონტროლი იქ მიმდინარე სიტუაციაზე.

რა თქმა უნდა, პოლიცია შორსაა საარჩევნო პროცესიდან, პოლიციას ეკრძალება საარჩევნო უბნებში შესვლა, მაგრამ ჩვენ შესაბამისი სტანდარტები გვაქვს შემუშავებული იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედოს პოლიციამ საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის საარჩევნო უბანშიც.

**– განაცხადეთ, რომ საჭიროების მიხედვით გადაანაწილებთ პოლიციელებს უბნებზე. ეს საჭიროება რის მიხედვით განისაზღვრება, რა კრიტერიუმების მიხედვით არჩევთ ამ უბნებს: წინა არჩევნებიდან გამომდინარე საზღვრავთ, თუ გაქვთ რაიმე დამატებითი ინფორმაცია, სადაც ვითარების გართულებას ელით?**

– ჩვენ მთელი წინასაარჩევნო პერიოდში ვაკვირდებოდით პროცესებს და ვაფასებდით რისკებს. სწორედ ამ რისკების შეფასებას ეყრდნობა ჩვენი მხრიდან თუნდაც პოლიციის ძალების გადანაწილება და მინდა გითხრათ, რომ წინა არჩევნებისგან განსხვავებით ბევრი საოლქო კომისიის ტერიტორიაზე რისკები საერთოდ არ არის. ამიტომ მარტო წინა არჩევნები არ გამოდგება ერთ-ერთ კრიტერიუმად, თუმცა ჩვენ, რა თქმა უნდა, გარკვეულ გამოცდილებასაც ვითვალისწინებთ. ეს უბნები შეიძლება იყოს, სადაც ხშირია ინციდენტები...

**– შეგიძლიათ დაასახელოთ რომელიმე უბანი, სადაც სირთულეს ელით?**

– კონკრეტული რაიონის ან რეგიონის წინასწარ დასახელებისგან თავს შევიკავებ. თუმცა გეტყვით, რომ სადაც წინასაარჩევნო კამპანია მეტ-ნაკლებად ემოციურად მიმდინარეობდა, უფრო მეტი ყურადღებაც იქ გვაქვს. ასევე სხვადახვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ვაფასებთ რისკებს. თუმცა ვფიქრობ, რომ რალაც განსაკუთრებულს არ უნდა ველოდოთ.

**– რას ურჩევდით ვთქვათ პოლიტიკურ ძალებს, მოქალაქეებს? რა რეკომენდაციებს გასცემს სამინისტრო?**

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ყველა საარჩევნო სუბიექტს, მათ კანდიდატებს, მათი შტაბების ხელმძღვანელებს და უბრალო მოქალაქეებს, მიუხედავად მათი პოლიტიკური კუთვნილებისა, თავი შეიკავონ ყოველგვარი ძალადობისგან, მუქარისგან და პროვოკაციული მოქმედებებისგან, ვგულისხმობ, მაგალითად სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას, შეურაცხმყოფელ ჟესტიკულაციას და ასე შემდეგ. იმიტომ რომ, ჩვენი შეფასებით და სამინისტროს ხედვით, ასეთი ინციდენტები, ძალადობრივი ინციდენტები და, ზოგადად, სიმშვიდისა და წესრიგის დარღვევა იქნება არა მხოლოდ ერთი ცალკე აღებული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, არამედ მთელი საარჩევნო პროცესის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და, შესაბამისად, ჩვენ ტოლერანტულები არ ვიქნებით და თითოეულ შემთხვევაზე მკაცრ რეაგირებას მოვახდენთ, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტიის წევრი ან მხარდამჭერი იქნება ის.



# შემოდგომის თბილი და მაჭრის სურნელით სავსე დღე...



შემოდგომის ძალადაკარგულ, მზიან, ლამაზ დღეს, სოფელ არბოშიკის სტუმარი ვარ. ლამაზ, მადლიან და კეთილშობილი ხალხით დასახლებულ სოფელში ღვინისა და მაჭრის სურნელი იფრქვევა. ყველაზე მეტად კი, რაც ამ სოფელში მომწონს, სოფლის აქტივის დახვედრაა, მუდმივად მობილიზებული, მოწოდების სიმაღლეზე მდგარი და სტუმრის ღირსეულად გამმკლავებელი ხალხი.

ჩემი მასპინძლები ქალთა საინიციატივო ჯგუფი „არბოშიკის“ კოორდინატორი მაია ლამაზოშვილი და მისი წარმომადგენელი ქალბატონები არიან. საინიციატივო ჯგუფი „არბოშიკი“ გაეროს სტრატეგიული კვლევების განვითარების ცენტრის და მისი პარტნიორი ორგანიზაცია „საგას“ მხარდაჭერით ჩამოყალიბდა და ვითარდება.

არასამთავრობო ორგანიზაცია სოფლად ქალთა ჯგუფების გაძლიერების კუთხით მუშაობს და ის სოფელ არბოშიკში, უკვე ორი წელია, არსებობს. მუშაობის მანძილზე მათ უკვე ორი პროექტი განახორციელეს. პირველი პროექტი ათასლარიანი გახლდათ სახელწოდებით „სუფთა გარემო ჩვენს სოფელში“, რომელიც ითვალისწინებდა ოთხი ნაგავსაყრელის დასუფთავებას და სოფელში ახალი ურნების დადგმას. მეორე პროექტი კი, საინიციატივო ჯგუფმა ახლახანს განახორციელა, ეს გახლავთ სპორტულ- გამაჯანსაღებელი ცენტრის დაფუძნება, რომელიც სოფელ არბოშიკში რამდენიმე კვირის წინ გაიხსნა.

„არბოშიკის“ ქალთა ჯგუფთან ჩემი სტუმრობა ითვალისწინებდა ამავე სოფლის შვილის, პოეტ ნინო ალადაშვილის პოეზიის საღამოზე დასწრებას. შეხვედრაზე თავი მოიყარეს სოფლის ქალბატონებმა, მართალია, თავად პოეტი ნინო ალადაშვილი, ობიექტური მიზეზების გამო, არ გახლდათ იქ, მაგრამ მას ღირსეული მაგივრობა გაუწია მისმა დედამ, ქალბატონმა ოლიკო დონჯაშვილმა. ეს გახლდათ მართლაც ძალიან თბილი, სალონური საღამო. ნინოს პოეზიამ თავბრუ დაგვახვია ქალებს და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა არბოშიკის შვილის სულის ამოძახილზე. იმ პატარა ოთახმა საკუთარივით მიიღო და გულში დაიჩნია ის უდიდესი ქარცეცხლის, სიყვარულის და ტკივილის ემოცია, რომელიც პოეტმა თავის ლექსების კრებულში „ამომიცანი“ ჩატია.

შეხვედრას უძღვებოდა თავად მაია ლამაზოშვილი, რომელმაც ნინო ალადაშვილის ბიოგრაფიული ცნობები წარმოგვიდგინა, ხოლო შემდეგ სიტყვა პოეტის დედას - ქალბატონ ოლიკო დონჯაშვილს გადასცა. მან შვილის ლექსები და ჩანახატები მთელი გულით გადმოგვიშალა და ისე პოეტურად წაგვიკითხა, არც გამკვირვებია, რომ ასეთი დედის შვილი პოეტად შედგა. სოფლის სკოლის მოსწავლეების - თამუნა ნანობაშვილის, ლიკა კოტაშვილის და 5 წლის ნია ალადაშვილის მიერ საღამოზე წაკითხული იქნა პოეტის ლექსები: „მამას“, „ღამე ქიზიყში“, „ვინ ვარ, საიდან მოვდივარ“, „ამომიცანი“ და „ასი სიტყვა“, რომელიც პოეტმა ბათუმში გამართული კონკურსისთვის „ასი სიტყვა“ დაწერა და პირველი ადგილი აიღო ბათუმის კონკურსზე. ფოლკლორული სიმღერები ფანდურის თანხლებით შეასრულეს პედაგოგ ნინო ბიძინაშვილის მოსწავლეებმა: სანდრო ჯინაშვილმა, მირანდა და მარიამ ბალაშვილებმა და თამუნა ნანობაშვილმა.

პოეტურ საღამოზე მონიტორზე აჩვენეს ნინო ალადაშვილზე შექმნილი პატარა ფილმები „პაემანი სიცოცხლის ბოლოს“, „ნიკალა“, „მოდი, გაზაფხულო“. ერთ-ერთი ფილმის რეჟისორი გახლავთ თავად არბოშიკელი ნიკო ბალაშვილი, რომელმაც ნინოს საჩუქრად მიუძღნა აღნიშნული ფილმები.

ღონისძიების დასასრულს შემოგვიერთდნენ თვით სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი „საგას“ წევრები. -„ჩვენი ორგანიზაცია 1998 წლიდან დღემდე მუშაობდა სხვადა-სხვა პროექტებზე. ორი წლის წინ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამ თემში არბოშიკში,ზემო ქედსა და ხორნაბუჯში შევქმენით ქალთა საინიციატივო ჯგუფები. ამჟამად გვაქვს გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, პროექტი ,,ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის'' საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის -CSRDG-ისა და საგა-ს მიერ დაფინანსებით. ორი წელია ამ თემებში ვსაქმიანობთ. ჩვენი პროგრამის ფარგლებში ეს სათემო ცენტრები ჩვენს მიერ გამოცხადებულ დახურულ საგრანტო კონკურსებში იღებენ ხოლმე მონაწილეობას.ზემო ქედს და არბოშიკს ზედიზედ ორი წელია უფინანსდებათ პროექტები. წელს ამ ჯგუფებს მიეცათ პროგრამული დაფინანსება, 6 თვის სამოქმედო გეგმები შეიმუშავეს და ეს ღონისძიებაც ერთ-ერთი გეგმის ნაწილი გახლდათ. შარშან „არბოშიკმა“ პროექტით ნაგვის ურნები შეიძინა, წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგად ფიტნეს- კლუბი მოაწყო. ზემო ქედმა შარშან მოსაცდელი ჯიხურის პროექტი განახორციელა, ადმინისტრაციული შენობის გვერდით ღია გადახურული რკინის კონსტრუქციის მოსაცდელი გააკეთეს, ხოლო წელს გამგეობის მიერ გამოყოფილ ერთ-ერთ ოთახში მოეწყო ქალთა ცენტრი, ოთახი, რომელიც აღიჭურვა ავეჯით და თანამედროვე ტექნიკით, მათაც აქვთ პროგრამული დაფინანსება და ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს. მაია ლამაზოშვილი არბოშიკში, მართლაც, ჩვენი აღმოჩენაა... ის ნათელი წერტილია სოფელში. ეს ქალბატონები დაუზარლად დიდი სიხარულით, სითბოთი და სიყვარულით აკეთებენ საქმეს და ამას ჩვენთან ერთად ხალხიც ხედავს. მაიკო თავის ერთგულ და უღალატო გუნდთან ერთად ბევრ სიხარულს ჩუქნის თანასოფლელებს და ულამაზებს ერთფეროვან ყოფას სოფლის ახალგაზრდა თაობებს! მოკლედ, არ დავიღლები ამ ქალბატონების შექებით. მადლობა მათ მორიგი ღონისძიებისთვის და იმ სითბოსთვის, რაც საგზლად გამოგვატანეს.“-აღნიშნა შეხვედრის დასასრულს „შირაქთან“ საუბარში საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია „საგას“ წარმომადგენელმა ხათუნა ფერაძემ.



საინიციატივო ჯგუფ „არბოშიკს“ ამას გარდა არაერთი აქტივობა აქვს სოფელში განხორციელებული, მათ შორის, სოფლის ცენტრის გალამაზება და დეკორატიული ყვავილებით მორთვა, ნატვრის ხის იდეა, სადაც სოფლის მოსახლეობა თავის სურვილებს ქაღალდის წერილების სახით აწყობს და შემდეგ, ყოველი იქ ჩანიშნული პრობლემა ჯგუფი „არბოშიკის“ მიერ დღის წესრიგში დგება.

ლალი მეხრიშვილი

## გთავაზობთ ნინო ალადაშვილის რამდენიმე ლექსს

### მამას

გთხოვ, ნუ იფიქრებ, რადგან ჩუმად ვარ,
სათქმელი არ მაქვს, ანდა ვერ ვგრძნობდე,
მაგრამ, შენ თვითონ ისე დიდი ხარ,
უმლური სიტყვით როგორ შემოგწვდე?!
არ შემიძლია, შენზე ვიფიქრო,
ისეთი ღრმაა სულში იარა,
ალბათ დადგება მშვიდად ფიქრის დრო,
ბოლომდე დავცლი სიმწრის ფიალას.

ჯერ გავიხსენებ ბედნიერ წარსულს,
წამებს, რომელსაც მუდამ დავლოცავ,
და მერე დღეებს ტკივილით გასულს,
რომ შევურიგდე შენს აქ არ ყოფნას.

ახლა კი, როცა დარდი მახელებს,
არ ვიცი, სევდას სად გავეცალო,
მინდა, მაგ თბილ გულს და მაგ დიდ ხელებს
შემოვუთბე და შემოვეფერო.

### ღამე ქიზიყში

ასეთი ცა არ მინახავს არსად,
ვარსკვლავებით მოჭედილი ღამით,
ცის პატარა ნაგლეჯსაც ვერ ნახავ,
არ ბრწყინავდეს ვარსკვლავების ჯარით.

ისე ახლოს გაბადრულა მთვარე,
ღამის მივწვდე, დავიჭირო ხელში,
შუქს ფენს ისე უხვად არე - მარეს,
რომ არ დარჩეს არაფერი ბნელში.
ცელქი სიო არ ისვენებს ბაღში,
აშრიალებს მთვარის შუქზე ვერხვებს,
ყველა ფოთოლს ეფერება წამში,
მათ გარეშე ღამითაც კი ვერ ძლებს.

აქ დრო ისე შეუმჩნევლად მიჭქრის,
დუმილს მარტო ჭრიჭინის ხმა არღვევს,
ღამე როგორ გავათიო ფიქრში?!
ან რა დათვლის აქ ვარსკვლავებს ამდენს?!

### ჩემს ქოხში მოთოვს

ჩემს ქოხში მოთოვს...
ქოხში, რომელიც აღარ არის
ისე მკვიდრი, როგორიც ერთ დროს,
იქ, სადაც უკვე უმოწყალოდ
შებღალულა რწმენის კედლები,
კედლებს არ ათბობს სიყვარული
და ბუხარში არ იწვის ვნება,
მველ ცხაურივით დახვრეტილა,
ჩამოშლილა იმედის ჭერი.
ჩემს ქოხში ცივა, ისე ცივა,
ისე ძლიერ, როგორც არასდროს,
აუხდენელი ოცნებებით
და სიზმრებით გადაღლილ ქოხში,
იქ, სადაც ახლა ოდნავ ბჟუტავს,
ხანაც ბოლავს ლამპარში სევდა
და ძველი სკივრი გავსებულა
ფერგადასული მოგონებებით.
მოდის ავდარი...
ჩემი ქოხი დიდ ქარიშხალს
ვეღარ გაუძლებს,
ქანაობს ქარში და ჭრიალებს
ეჭვის ჭიით შეჭმული კარი,
მე ვზივარ...ვუცდი თოვლის მოსვლას
ისე მშვიდად...ვიცი, ითოვებს,
და სიმარტოვე – ბებერი ძაღლი
წევს ერთგულად სადარაჯოზე.
ჩემს ქოხში მოთოვს...

### ამომიყვანეთ საკუთარი თავიდან

2013 წლის 5 თებერვალი, 19:08–ზე
საკუთარმა თავმა დამღალა.
მინდა, სადმე გავექცე,
მინდა, როგორმე დავისვენო.
ვიფიქრე, ვიფიქრე და მოვიფიქრე:
დარდს უნდა მივაკითხო.
იქნებ დარდმა დამავიწყოს საკუთარი თავი.
მივედი, ვხედავ, ჩემს წინ ლურჯი მთებია.
ყველას დარდი მთებს აწერია ზედ.
ვკითხულობ, ვკითხულობ და არ მთავრდება.
დასასრული არ აქვს სამყაროს სევდას.
ყველას დარდი დავიდარდე.
უცებ ვხედავ, ჩემს დარდს ყველა დარდი დაუფარავს,
ნისლად ქცეულა, მთებს გარშემო შემოხვევია,
ყველაფერი დაუმალავს.
თვალებშიც ნისლი ჩამიდგა,
ცრემლებად იწყო დენა,
მოდის და მოდის მდინარესავით.
ვერაფერს ვკითხულობ, ვერაფერს ვხედავ.
აქაც მე ვარ საკუთარი დარდით. გავრბივარ.
სიხარულს უნდა შევაფარო თავი.
იქნებ მან მაინც მიშველოს რამე.
აი, ვიპოვე სიხარული.
ლამაზ ყვავილებს დაუფარავთ მინდორი.
ყველას სიხარულს აქ მოუყრია თავი,
ყვავილებად შეგროვილან.
სიხარულის ჭრელი პეპლები დაჭფარფატებენ თავს.
დავდივარ, ვეფერები ყვავილებს,
სიხარულით მევსება გული, საკუთარი სიხარულით.
მახსენდება ბედნიერი წამები, წუთები,
დაბადებიდან დღემდე.
რამდენი სიხარული მქონია.
გამალებით მიცემს გული,
ყელში ამოვიდა, ამოვარდნას ლამობს,
გუგუნებს უკვე, ყურებს მიხშობს.
სხვა აღარაფერი მესმის.
ვეღარ ვუძლებ. გავრბივარ ისევ.
ტკივილს შევეხიზნები.
ცოტა ხნით მაინც დამავიწყოს იქნებ თავი.
ტკივილს არ უნდა დიდხანს მებნა.
ვიპოვე ისიც.
ვხედავ დახეთქილ, გვალვიან მიწაზე დაყრილ ხეიბრებს,
ავადმყოფებს, მწუხრვალებს, მშივრებს.
კიდურებმოჭრილ, ომგადახდილ დაჭრილ მეომრებს.
მგლოვიარე, შაოსან, შვილმკვდარ დედებს,
გულმოკლულ ცოლებს, დებს და შვილებს.
ვუყურებ მათ და მათი ტკივილი მტკივა.
მტკივა, მაგრამ თანდათან ვამჩნევ:
ყველა კაცი მამაჩემის თვალებით მიყურებს.
ყველა კაცი მამაჩემის ხელებს მიწვდის.
ყველა კაცი მამაჩემის ხმით მეძახის.
ისევ მე ვარ აქ ჩემი ტკივილით, მამა რომ ჭქვია.
უნდა წავიდე. იქნებ სიყვარულმა გადამარჩინოს.
ვიპოვე. ზღვა არის სიყვარული.
ხან ღელავს, ხან მშვიდდება.
ზღვა იტევს ყველას სიყვარულს:
ასრულებულს და აუსრულებელს,
დაღუპულს და დავიწყებულს.
შევდივარ ზღვაში, ფეხს ვისველებ.
ჯერ კოჭებამდე ვარ შესული და უკვე ვიხრჩობი.
ვერასდროს შევძლებ სიღრმეში შესვლას.
გავრბივარ. ვბრუნდები ისევ.
გავრბივარ. ვბრუნდები.
ზღვის თვალები მაბრუნებენ,
ლოდინით სავსე თვალები.
ვდგავარ წყალში კოჭებამდე და ისე ვიხრჩობი,
ჩემი სიყვარული მახრჩობს.
მეტი აღარ შემიძლია.
მთელი ხმით ვკივი: მიშველეეეეეეეეეეთ!!!
ამომიყვანეთ... ზღვიდან კი არა, საკუთარი თავიდან!
ჩემი ხმა მაფხიზლებს...
ღმერთო! რა იყო ეს? ნუთუ სიზმარი?!

# გაჭიანურებული ტენდერი და შეწყვეტილი რეაბილიტაცია

**დედოფლისწყაროს რაიონული ცენტრისგან ყველაზე მოწყვეტილ სოფელ საბათლოს საჯარო სკოლის რეაბილიტაციის გაჭიანურებას ადგილობრივების უკმაყოფილება მოჰყვა. წელიწადზე მეტია, სკოლის მოძველებული შენობის კეთილმოწყობა მიმდინარეობს. ამის გამო სასწავლო პროცესი ორ ცვლაზეა გადასული, რაც ადგილობრივების უკმაყოფილებას იწვევს. რემონტის დასრულების მოთხოვნა ადგილობრივებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშეც დააფიქსირეს და ახლახან, სოფელში გამართულ მერობის სახელისუფლებო კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზეც გააჟღერეს და დახმარება ითხოვეს.**

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ამ ეტაპისთვის სარემონტო სამუშაოების დიდი ნაწილი დასრულებულია, თუმცა ,რეაბილიტაციის ბოლომდე მიყვანა იმ მიზეზით შეფერხდა, რომ სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი გარდაიცვალა, რის გამოც მოქმედი კონტრაქტი ჩაიშალა. ახალი კომპანიის გამოსავლენად კი ტენდერის ხელახლა გამოცხადების აუცილებლობა დადგა, ტენდერი ორჯერ გამოცხადდა, თუმცა გამარჯვებული ისევ არ გამოვლენილა.

იმის გამო, რომ საქართველოში სკოლების მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა, განსაკუთრებით რეგიონებში, შენობების დიდ ნაწილს აღდგენითი სამუშაოები ესაჭიროება, სამუშაოების მასშტაბურობის გამო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფუძნა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომლის ძირითადი ფუნქცია სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებაა. სააგენტოში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, რომ საბათლოს სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი თავად სკოლამ გამოაცხადა და თანხაც თავისივე ბიუჯეტიდან გამოყო. შესაბამისად, სააგენტო პროცესში ჩართული არ არის.

„როდესაც სკოლებს თავად აქვთ რეაბილიტაციისთვის საჭირო ფინანსები და დაგეგმილი სამუშაოებისთვის აღარ საჭიროებენ სამინისტროს მხრიდან დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას, ასეთ დროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო აღარ კურირებს არც ტენდერს და არც სამუშაოების მიმდინარეობას. თუმცა, სკოლა ჩვენთან ათანხმებს რეაბილიტაციის პროექტს, ჩვენ გავცემთ თანხმობას და ამის შემდეგ შეუძლია სკოლას, ტენდერი გამოაცხადოს. ასე იყო საბათლოს სკოლის შემთხვევაშიც. ასე რომ დეტალები ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში დააზუსტეთ,“ – აღნიშნეს ინფრასტუქტურის განვითარების სააგენტოში.

როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი განმარტავს, საბათლოს საჯარო სკოლის შენობაში რეაბილიტაციის პროცესი წელიწადნახევარზე მეტია მიმდინარეობს. მისივე თქმით, პირველი სართულის კეთილმოწყობა უკვე დასრულებულია.

„გაილესა კედლები, გაკეთდა კარფანჯრები, იატაკიც ბევრგან დასრულებულია, ზოგან ჭერია დარჩენილი. მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ ძირითადი სარემონტო სამუშაოები შესრულებულია და მცირე ნაწილია დარჩენილი. შემდეგ გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა, გარდაიცვალა ხელმძღვანელი და ველარ შეძლეს დაკისრებული მოვალეობის ბოლომდე შესრულება. ამის გამო ჩაიშალა ხელშეკრულება. ორჯერ კიდევ გამოცხადდა ხელახალი ტენდერი, მაგრამ პროცესი გაჭიანურდა. ამის მიუხედავად, სასწავლო პროცესი არ ჩაშლილა, არც შეფერხებები გვქონია. საბათლო მცირერიცხოვანი სოფელია, თუმცა იმის გამო, რომ ეთნიკური უმცირესობები მრავლად ცხოვრობენ, სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ორ სექტორზე, ქართულ და სომხურ ენებზე. ამჟამად ამ სკოლაში 56 მოსწავლე ირიცხება, დილის და საღამოს ცვლაში გადავანაწილეთ ისინი. ვინაიდან პირველი სართულის რემონტი უკვე დასრულებულია, მეორე სართულზე არსებული კლასებიც დროებით პირველზე ჩამოვიყვანეთ. დილით ქართულ სექტორს უტარდება გაკვეთილები, მეორე ცვლაში კი სომხურ სექტორს. რაც შეეხება ხმაურს და ადგილობრივების პრეტენზიებს, მე სულ ახლახანს ვიმყოფებოდი ამ სოფელში, რესურსცენტრმა საბათლოს სკოლაში გეგმიური მონიტორინგი განახორციელა და ადგილობრივების აზრიც მოვისმინე. ბიბლიოთეკარიც გამოხატავდა უკმაყოფილებას და კიდევ ერთი პედაგოგი აპროტესტებდა, განაცდური საათების ხელფასი რატომ დამიკავესო? ასე ხდება ყოველთვის, როცა მასწავლებელი თავის საათებს აცდენს, ხელფასიდან უკავებენ. ძირითადად მუსიკის ახალ მასწავლებელზე იყო შენიშვნები, რომ ის არაკომპეტენტურია. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას დირექტორი იღებს. ასეთ სოფლებში, რომლებიც რაიონული ცენტრისგან მკვეთრადაა მოწყვეტილი და მცირე დასახლებაა, ყოველთვის ჭირს კადრები, მითუმეტეს, კვალიფიციური კადრები და ხშირია შემთხვევები, როცა სხვა საგნის შეთავსება სხვა პროფილის პედაგოგს უწევს. არსებობდა მუსიკის მასწავლებლის ვაკანსია და დირექტორმა გენადი ჩოვუშიანმა ასე ჩათვალა საჭიროდ,“ — განაცხადა დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ეთერ ზურიკაშვილმა.



**„სკოლაში სასწავლო პროცესი არ ჩაშლილა, სწავლა ორ ცვლაში, პირველ სართულზე მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო სამუშაოების დიდი ნაწილიც უკვე დასრულებულია, მხოლოდ მცირე დეტალები დარჩა“**



მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგად, რომელიც საქართველოში 2014 წელს ჩატარდა, სოფელ საბათლოში 391 მოქალაქე ცხოვრობს, აქედან 196 კაცი, 195 ქალი, რომელთაგან 56 სკოლის მოსწავლეა. ახალი მონაცემებით სოფლის მაცხოვრებელთა ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. 2002 წლის აღწერისას ადგილზე 508 ადამიანი სახლობდა. სოფელი დედოფლისწყაროს რაიონულ ცენტრს 70-ზე მეტი კილომეტრითაა დაშორებული, გზა მოუწესრიგებელია, რაც ადგილობრივების მუნიციპალურ ცენტრთან კომუნიკაციას კიდევ უფრო ართულებს და აძვირებს. საბათლო მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს ბოლო დასახლებული პუნქტია, რომელიც აზერბაიჯანის საზღვართან ახლოსაა გაშენებული და ზღვის დონიდან 210 მეტრზეა.

აქ დასახლება მას შემდეგ გაჩნდა, რაც გამოხიზნული სომხები დასახლდნენ და დასახლებასაც სახელი თავად დაარქვეს. 1918 წელს მუსავატელებმა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 36 სოფლის სომხური მოსახლეობა აყარეს და ბედის ანაბარა დატოვეს. შემდეგ ლტოლვილ სომეხთა ნაწილი 1922 წელს მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს ჩამოსახლდა და დაბინავდა. სოფელს თავიანთი მშობლიური სოფლის სახელი, საბათლო უწოდეს, ხოლო მოგვიანებით - წითელი საბათლო დაარქვეს.

ილია მარტყოფლიშვილი

# „ჩვენი ენის უზარმაზარ შესაძლებლობებზე უარს ვამბობთ...“



„რა გითხრათ, რით გაგახაროთ“-ო, – ბრძანებდა დიდი ილია... დიდად გასახარელსა თუ თავის მოსაწონებელს ვერც მე ვიტყვი და, არც ძალიან მოვიწადინებ. ამის საშუალებას ახლანდელი პოლიტიკური სივრცე არ იძლევა... უკვე რამდენი წელია, რაც უარი ვთქვით სიყვარულის ენით საუბარზე და ნაცვლად ამისა, აღვაზევეთ ზიზღი და სიძულვილი, მიზნის მისაღწევად კი სწორედ ამ უკანასკნელს მივუშვით სადავე. შედეგად, ვხედავთ თითოეული თქვენგანისთვის სალოცავ ხატად ქცეულ სამშობლოს დღევანდელ მდგომარეობას. ვერ გამოვდგები ვერავის ჭკუაზე დამრიგებლად,ვერ გაგინიჟებთ, რომ რაც მე მტკივა და მაწუხებს, რაც ნიადაგ ჩემი ფიქრის საგანია - სწორედ ის გზაა,რომელიც გვირაბის ბოლოს ანთებულ სინათლესთან გაგვიყვანს.იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩემსა და, გარკვეულწილად, თქვენდა სამწუხაროდ, ვერც ამ ზიზღსა და ერთმანეთის მიმართ ზღვარგადასულ სიძულვილში ვხედავ საიმედოს,რომელიც ამ გზის სათავესთან დაგვაყენებს და უფალთან მიგვაახლოვებს...

მტკივა... მოჭარბებულად მტკივა... ჩვენი ენის უზარმაზარ შესაძლებლობებზე უარს ვამბობთ და ერთმანეთთან ქვეყნისათვის და ენისთვის შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ქუჩური ტერმინოლოგიით ვსაუბრობთ. ზემოთ მოგახსენებდით და, ახლაც ვიმეორებ:-არ ვწერ ვინმეს ჭკუის სასწავლებლად... უბრალოდ,ჩემს მოკრძალებულ ფიქრსა და ტკივილს გიზიარებთ იმის გამო, რომ რაც ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში მოჭარბებით ჩანს – ეს გზა არაა ის გზა,რომელიც ჩემს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება.

სამწუხაროდ, დიდად არც იმის განცდა მაქვს,რომ ჩემს ამ მოკრძალებულ ნაფიქრალს ვინმე ყურს დაუგდებს, მიხვდება მიზეზს ჩემი წუხილისას, შეიცვლება და ხვალიდან სიყვარულის ენას დაუდებს საფუძვლად თავის საქვეყნოდ გამოსადეგ მოწადინებას.

სწორედ ამის გამო ვრჩები უფლის იმედად,როგორც ვაჟა ბრძანებდა: -,,ღმერთო,სამშობლო მიცოცხლე, მძინარიც ამას ვდუდუნებ’’-ო... თქვენც ამ ფიქრებში თანამონაწილეობას გთავაზობთ,იქნებ,ამიხდეს ოცნება და ცოტახანს მაინც ვიცხოვრო იმ დროში, როცა ღმერთის შეწუხება ამის გამო ნაკლებად დაგვჭირდება.იქნებ შევძლოთ და ცალცალკე,თითოეულ ჩვენგანში ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაბნეული ფიქრი ქვეყნის დამამშვიდებელ ერთიან ფიქრად ვაქციოთ...

ტარიელ ხარხელაური

# „კეთილი მეგობრები“

## გული მხოლოდ ადამიანებს არ აქვთ

**დღეს ვამთავრებთ 11 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში შემოქმედ მოსწავლეთა შორის გამართული კონკურსის „ზღაპარ იყოს“ გამარჯვებული მოსწავლეების ნამუშევრების გამოქვეყნებას.**

**გთავაზობთ, ოზაანის საჯარო სკოლის მოსწავლის ნინო მეხრიშვილის საკონკურსო ნამუშევარს „კეთილი მეგობრები“.**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ზარმაცი კაცი დათო. ჰყავდა ცოლი და ერთი პატარა, ლამაზი გოგონა. დათომ სიზარმაცის გამო შემოდგომა ისე გაიყვანა, რომ შეშა არ მოიტანა.

დადგა ნაადრევი ზამთარი. ერთ დილასაც მოვიდა თოვლი, სოფლის ყველა სახლის საკვამურიდან რუხი, სქელი კვამლი ამოდიოდა, გარდა ერთისა...

ზარმაცი დათოს ოჯახში სიცივე გამეფებულიყო, ოჯახის მამას კი ტკბილად ეძინა. მისი ცოლი სიცივეს გაეღვიძებინა და თავის ქმარზე ბრაზობდა. გაანჩხლებულმა გააღვიძა და უთხრა:

- გაიღიძე, შე უქნარა, გაიხედე ფანჯარაში რამხელა თოვლი მოსულა! ჩვენი თავი თუ არ გეცოდებოდა, ეს პაწაწინა ბავშვი მაინც შეიბრალე! ადექი, სასწრაფოდ წადი ტყეში და საღამომდე შეშა მოიტანე. ზმორებით ადგა დათო, ფანჯარაში გაიხედა და ელდა ეცა.

ოოჰ, როგორ წავიდე ახლა ტყეში ან რითი გამოვიტანო შეშა? მარხილიც არ მაქვს, ზურგით გამოვზიდო? - ეკითხებოდა თავის თავს.

სიცივის გამო დედამ გოგონა ლოგინიდან არ ააყენა და თოვლში სათამაშოდ არ გაუშვა,- გაცივდებიო. ფანჯრიდან კი მოჩანდა, როგორ თამაშობდნენ ბავშვები. დათო თავის თავზე გაბრაზდა და დარცხვენილი ჩუმად გავიდა სახლიდან.

ეზოში ძაღლის სახლსაც შენიშნავდით, სადაც კავკასიური ნაგაზი დანდერი ცხოვრობდა. იგი გულადი და ერთგული ძაღლი იყო. ამ დილით, პატარა გოგონასგან განსხვავებით, მისთვის თოვლში თამაში არავის დაუშლია და მეზობლის ბავშვებთან ერთად კოტრიალობდა. როცა ეზოში პატრონი გამოვიდა, ერთი ნახტომით გაჩნდა მასთან, მაგრამ დათომ ყურადღება არ მიაქცია, ცული და თოკი აიღო, ჭიშკრისკენ გაემართა და მაშინღა დაუძახა დანდერს:

- წამოდი, ჩემო ბიჭო, ტყეში წავიდეთ და შეშა მოვიტანოთ.

დანდერმა მხიარულად შეჰყეფა და წინ გაიქცა, გზაში ხშირ-ხშირად იხედებოდა უკან, პატრონი ხომ არ ჩამომრჩაო.

შევიდნენ ტყეში. სპეტაკი და ფაფუკი გაეხადა თოვლს ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ რაც უფრო ღრმად შედიოდნენ, მაღალ, ხშირტოტება ხეებში, ხედავდნენ, რომ მზის შუქი ველარ აღწევდა. საშინელი სიბნელე და ნისლი ჩამოწოლილიყო.

დათოს ძალიან ეზარებოდა თოვლიანი, სველი ხეების მოჭრა, მაგრამ რა ექნა!? ერთი ამოიხვნეშა და შეუდგა საქმეს. სჭრის და კისერში ცივი თოვლი ეყრება. სიცივისაგან კანკალებს და საკუთარ თავზე ბრაზი ახრჩობს. რამდენჯერმე დანდერსაც დაეცა მსხვილი ტოტიდან ჩამოვარდნილი მოზრდილი გუნდა. დასველდა, გაბრაზდა და ჩუმად გაეპარა ტყეში სასეირნოდ.



უცებ ხიდან ციყვმა ისკუპა, დანდერს ძალიან მოეწონა მისი ფუმფულა კუდი. თამაში მოუნდა და გაეკიდა. ციყვი ხიდან ხეზე დახტოდა და დანდერი ულრან ტყეში შეიტყუა, თვითონ ფუღუროში შეძვრა და ნაგაზი მარტო დატოვა ამ საშიშ ადგილას. ძაღლმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქოს ტყის შუაგულში იყო მომწყვდეული, გარშემო ხეების ჯარი ერტყა, გაყინული ბუჩქის ქვეშ რაღაც შეირხა, თან სუნიც შეიგრძნო ნელი ნაბიჯით წავიდა უცნობისკენ და ორი პატარა ბელი გამოჩნდა, რომლებიც ერთ ადგილს მისჩერებოდნენ და ერთმანეთს არ შორდებოდნენ. მოულოდნელად, ზუსტად იმ ადგილიდან გაისმა საზარელი ხმა. დანდერმა, გაოცებულმა გაიხედა და რა დაინახა: დათვი ღრიალით გამოექანა მისკენ. გულგახეთქილი ძაღლი სასწრაფოდ დათოსკენ გამოიქცა. მირბის და ფეხდაფეხ მისდევს დათვი. მისი საზარელი ღრიალი გადარჩენის იმედს უწურავს, აი, გამოჩნდა დათოც. წამით იმედის სხივი აუკიაფდა თვალებში..

დათვი ორივეს მოერევა. დანდერი ძრწოლამ აიტანა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სირბილს მოუმატა. დათოს მიახტა, ორ თათზე შედგა და გადაეფარა. დათვმა მოიმარჯვა ძლიერი ტორი, შემზარავად დაიღრიალა და ამ ღრიალში ძლივს შესამჩნევად გაისმა დანდერის ხვეწნა-მუდარა:

- გთხოვ, შენ ხომ იმიტომ გაბრაზდი, რომ შეგეშინდა, შენი ბელებისთვის არა დამეშავებინა რა, მე კი მეშინია, ჩემს პატრონს არ ავნო, ის არაფერ შუაშია.

დათვი შედგა. დასატორად მომზადებული თათი ჩამოუშვა და თავის ბელებს გახედა. მათაც ეშინოდათ. ერთმანეთს ჩახუტებოდნენ, თვალები დაეხუჭათ და ბუთხუზა სხეულს ჯირკს აფარებდნენ.

- მითხარი, გულადო ძაღლო! რას აკეთებთ ამ ულრან ტყეში?

- მე ენა დაება ძაღლს, ჩვენ, უბრალოდ, შეშა გვინდოდა, თოვლი რომ მოვიდა, ძალიან აცივდა. სახლში პატარა გოგონა გველოდება, რომლებსაც ძალიან სცივა და თუ შეშას არ მოვიტანთ - გაცივდება. დათო გონს მოეგო.

- ყველაფერი ჩემი ბრალია. ამ ძაღლს შენი ბელებისათვის არაფერი დაუშავებია და ამ ულრან ტყეშიც მე წამოვიყვანე. თავის დროზე არასდროს ვაკეთებ ჩემს საქმეს და რა მივიღე!? საყვარელი ადამიანები დავაზარალე, ჩემი ერთგული მეგობარი კი კინაღამ დავღუპე, ახია ჩემზე. მე ვარ ყველაფერში დამნაშავე და გთხოვ, არაფერი დაუშავო ჩემს ძაღლს-ევედრებოდა კაცი დათვს.

- შეიძლება ზარმაცი ხარ, მაგრამ, მთავარია, მიხვდი შენს დანაშაულს, და საქმის გამოსწორებაც შეგიძლია-დათავმა ცალი თვალით საწყლად გადახედა დათოს მიერ მოჭრილ ათიოდე შეშას-მისმინე, ჩემი ბუნაგი აქვე ახლოსაა. მარხილს მოვიტან და დაგეხმარები. მთელი ზამთრის სამყოფი მარაგი რომ წაიღო.

დათოს და დანდერს უზომოდ გაუხარდათ.

(ზოგი ადამიანი არ მოიქცეოდა ასე კეთილად)

დატრიალდა დათვი, მოიტანა მარხილი და დაიწყო ხეების ჭრა. ისეთი ძალით იქნევდა ცულს, ხეებს ხეებზე აწყობდა, პატარა ბელები დედიკოს დაჭრილ შეშებს ალაგებდნენ, წამში გაავსეს მარხილი და მხიარულად წამოვიდნენ დათოს სახლში.

ეზოში ცოლი იდგა, მოუთმენლად ელოდა ქმარს. ძალიან ნერვიულობდა. იცოდა, როგორც დაიღლებოდა მისი ზარმაცი მეუღლე, ცოტა არ იყოს, ნანობდა კიდევაც, ასე მკაცრად რომ მოექცა, ამიტომაც მის გასახარებლად გემრიელი ვახშამი მოამზადა.

ცოტა ხნის შემდეგ, ბინდში რამოდენიმე სილუეტი გამოჩნდა და მარხილის ჭრიალის ხმაც გაისმა. ქალს ძალიან გაუკვირდა, როდესაც ქმართან და ძაღლთან ერთად დათვი და ორი ბელი დაინახა. თვალებს არ უჯერებდა, სადამ დათო ყველაფერს არ მოუყვა და ახალი კეთილი მეგობარი პირადად არ გააცნო. ამის შემდეგ კი პირობა მისცა, რომ აღარასოდეს იზარმაცებდა და მუდამ სანაქებოდ იზრუნებდა თავის ოჯახზე.

ბოლოს ყველანი ერთად, გახურებული ბუხრის გვერდით გემრიელად შეექცეოდნენ ვახშამს და მეგობრების შეძენას აღნიშნავდნენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

ნინო მეხრიშვილი,
**ოზაანის საჯარო სკოლა**

# ნორჩი დეკლამატორი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი აგრძელებს პროექტს „იმედი ხვალის“. გასულ კვირას ქედის ზონაში ჩატარდა ღონისძიება „ნორჩი დეკლამატორი“, შემდეგ კი-არბოშიკის სკოლაში. აქ თავი მოიყარეს სოფ.ოზაანის, მაჩხაანის, გამარჯვებისა და არბოშიკის საჯ.სკოლების პირველკლასელებმა მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად.

შეხვედრა ძალიან თბილი და ხალისიანი იყო. ლამაზად გამოწყობილი გოგო-ბიჭები ერთმანეთს ლექსის მხატვრულად თქმაში ეჯიბრებოდნენ. ვუყურებდით პატარებს, რა მონდომებით კითხულობდნენ ლექსებს და ვრწმუნდებოდით, რომ ისინი მართლაც არიან იმედი ხვალის და ჩვენს ქვეყანას ბედნიერი მომავალი აქვს. ქართულ ენას, ქართველ ხალხს და საქართველოს გადაშენება არ უწერია. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი პატარები. ჯანმრთელობას და დიდ ენერგიას ვუსურვებ მასწავლებლებს, რათა მეტი განათლებული და ბედნიერი თაობა აღზარდონ.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო არბოშიკის სკოლის დირექტორს ქ-ნ მანანა ჭილიტაშვილს გულთბილი დახვედრისა და მასპინძლობისთვის. აგრეთვე, დიდი მადლობა ჩვენს ხელმძღვანელობას დახმარებისთვის და ბავშვების გახარებისთვის.

გპირდებით, კვლავაც ბევრ ლამაზ ღონისძიებას ჩავატარებთ და კიდევ ბევრ ბავშვს გავახარებთ.

თამარ აბულაძე
**ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელი**






## 1965 WLIS OQTOMBERI

○ WITELWYAROM 9 TVESI 1 045 000 KVERCXI AWARMOA, MIRWEULIT AR KMAYOFILDEBIAN DA FERMIS MUSAKEBI PIROBAS DEBEN, ROM WLIS BOLOMDE KIDEV 150 000 CAL KVERCXS AWARMOEBEN. MEFRINVELEOBIS FERMASI WITELWYAROS LENINIS SAX. KOLMEURNEOBAM MARALDONEZE MOAWYO MUSA PROCESI. UMARLESDONEZEA QATMEBIS MOVLA-PATRONOBIS SAQME. FERMASI PIRVELOBAS ARAVIS UTMOBS IS BRIGADA, ROMELSAC PETRE KUNCINI XELMZRVANELOBS. MAT GEGMIURI 165 000-IS NACVLAD 225 000 KVERCXI AWARMOES. SATANADO YURADREBA EQCEVA FRINVELIS JANMRTELOBAS DA KVEBAS. GATVALISWINEBULIA KOMBINIREBULI SAKVEBI, MWVANE MASA DA XORBLIS ANARCENEBI. AQ ZUSTAD ICAVEN ZOOTEQNIKUR WESEBS. WLIURI DAVALEBEBI GADAWARBEBIT SEASRULES ASEVE, ALEQSI MENTESASVILIS DA IVANE DURNOVIS BRIGADEBMAC.

○ CVENI GAZETIS FIRCLEBZE AMASWINAT GAMOQVEYNDA PUBLIKACIA `MIVXEDOT SAMTAWYAROS~. SAUBARI IYO, ROM SOFLIS BIBLIOTEKA DA KLUBI SEUFEREBEL BINASIA MOTAVSEBULI DA CUDAD MUSAOBS. WITELWYAROS KULTURIS GANYOFILEBIS GAMGE TENGIZ IAKOBISVILI GVATYOBINEBS, ROM WERILSI GAMOQVEYNEBULI FAQTEBI SINAMDVILES SEESABAMEBA. UKVE DAISAXA RONISZIEBEBI KLUBIS KAPITALURI REMONTISTVIS DA AXALI BIBLIOTEKIS MSENEBLOBISTVIS DA VITAREBA GAMOSWORDEBA.

## 1966 WLIS OQTOMBERI

○ ZEMO QEDSI MCXOVREBI VANO TAMARASVILI DA VASIL SVARIZE GAURBODNEN SAZOGADOEBRIV SASARGEBLO SROMAS DA METWIL DROS USAQMUROBASI ATAREBDNEN. UZOMOD MTVRALEBI SEVIDNEN SOFEL ARXILOSKALOS TERITORIAZE MDEBARE KAFESA DA PRODUQTEBIS MARAZIASI, ATEXES DEBOSI, GATEXES SESASVLELI KARI. FIZIKURI DA SITYVIERI SEURACXYOFA MIAYENES ROGORC KAFES MUSAKEBS, ISE MARAZIIS GAMYIDVELEBS DA IQ TAVMOYRIL MOMXMAREBLEBS. TAMARASVILMA KIDEV UFRO MZIME DANASAULI CAIDINA DA DANIT DASWRA MARAZIIS MUSA IVANE KOVALIOVI. TUMCA, XULIGNEBIS GZA MOKLE ARMOCNDA DA ISINI DAAPATIMRES.

○ SOTA RUSTAVELIS 800 WLISTAVISADMI MIZRNILI RONISZIEBEBI FARTOD ARINISNA WITELWYAROSI. QALAQIS KULTURIS SAXLSI DA TITQMIS YVELA SOFELSI. WITELWYAROS SKOLEBSI VEFXISTYAOSNIS ZEPIRAD KITXVIS SEJIBREBEBIC GAIMARTA.

○ ZIRFESVIANAD SEICVALA MWYEMSTA KULTURULI DA SAYOFACXOVREBO PIROBEBI. WITELWYAROSI VER NAXAVT VERCERT FERMAS, MIS GVERDIT LAMAZI, QVITKIRIS SACXOVREBELI SAXLI ROM AR IDGES. YVELA BRIGADAS GAMOYOFILI AQVS OTAXI WITELI KUTXISTVIS, SADAC GAMOFENILIA LITERATURA. MWYEMSEBI XAZIS RADIOTI YOVELDRIURAD ISMENEN AXAL-AXAL AMBEBS, UYUREBEN TELE-GADACEMEBS. MAGRAM MWYEMSTA KULTURULI MOMSAXUREBIS SAQMESI JER KIDEV ARIS NAKLOVANEBEBI. KARGA XANIA FERMEBSI ARAR YOFILAN KULTSAXLIS KOLEQTIVEBI KONCERTEBIS GASAMARTAVAD. XOLO KINOSURATEBS MWYEMSEBTAN TITQMIS SUL AR UCVENEBEN.

○ DRITIDRE LAMAZDEBA DA SAXES ICVLIS QALAQI WITELWYARO. MOASFALTEBUL QUCEBS YOVELWLIURAD AXAL-AXALI NAGEBOBEBI EMATEBA. DIDI PERSPEQTIVEBIA DASAXULI AXAL XUTWLEDSI, RIS SEMDEGAC ERTERT MSVENIER DA KETILMOWYOBIL QALAQAD GADAIQCEVA. GATVALISWINEBULIA BAZRIS MTLIANI REKONSTRUQCIA. ZVELI BAZARI GADATANILIA KOLMEURNEOBIS SAWYOBIS EZOSI, RUSULI SKOLIS ARMOSAVLETIT. ZVELI BAZRIS ADGILAS KI SAZIRKVLIS GATXRA DAIWYO ORSARTULIANI DAXURULI BAZRIS MSENEBLOBISTVIS, ROMLIS DAMTAVREBAC UAXLOES WLEBSIA DAGEGMILI. ASEVE QALAQ WITELWYAROS CENTRSI SENDEBA ADMINISTRACIULI SAXLI, ROMELIC AQTIURAD MIMDINAREOBS DA MOMAVALI WLIDAN SEVA EQSPLUATACIASI.



## 1969 WLIS OQTOMBERI

○ `ZVIRFASO REDAQCIAV, GTXOVT MAPOVNINOT CEMI DA CIRA, ROMELIC WITELWYAROSIA GATXOVILI. CVEN ERTI DEDIS SVILEBI VART, MAMIT SXVADASXVA. DEDIS GVARIA SANSIASVILI. CEMI DIS GVARI ARC MAMIS DA ARC QMRISA AR VICI, IGI CEMS DABADEBAMDE 14 WLIT ADRE GATXOVILA. AR VICODI DA MYAVDA TU ARA. MOGVIANEBIT DEDAM MITXRA, ROM WITELWYAROSI DA MYAVS DA MAN CEMS SESAXEB ARAFERI ICIS. MEGONA MOVASWREBDI GACNOBAS, MAGRAM MOULODNELAD DEDA GARDAMECVALA DA DAVRCI OBLAD. MAMA ERTI WLISAS MOMKVDOMIA. ME VSWAVLOB GORIS PEDAGOGIUR INSTITUTSI. DEDAS PELO SANSIASVILI ERQVA. ROCA CEMI DA CIRA (CIRIKO) 6 WLIS YOFILA, DEDACEMI DA MAMAMISI GACILEBULAN DA CIRIKO MAMAS WAUYVANIA GASAZRDELAD. ZALIAN GTXOVT, WERILI GAMOAQVEYNOT DA CEMI DA MAPOVNINOT,~ - WERS STUDENTI HAZRATAL OZMANOVA.

○ WITELWYAROS RAIONSI DIDI YURADREBA EQCEVA QALAQIS QUCEBIS SISUFTAVISA DA SANITARULI WESRIGIS DACVAS. AM MIZNIT WITELWYAROS KOMUNALURMA GANYOFILEBAM MIIRO QUCEBIS SARWYAVI AXALTAXALI SPECIALURI MANQANA. FOTOZE: QALAQIS QUCEBIS MORWYVIS PROCESI.



## 1988 WLIS OQTOMBERI

○ WITELWYAROS LIMONATIS QARXNIS MAXLOBLAD MDEBARE WYARO ISEA DABINZUREBULI, ADAMIANS UWIRS AXLO MISVLA DA CIVI WYLIS DALEVA. IQAUROBA MYRAL WUMPEEBAD DA GUBEEBADAA QCEULI. GANSAKUTREBIT ZAFXULOBIT IQ SASINELI SUNI TRIALEBS. WYAROZE MIMSVLELTA GARDA WUXDEBIAN GARSEMO MCXOVREBI OJAXEBI. WYAROS SEKETEBAZE KI ARAVIN FIQROBS.

○ SINAGAN SAQMETA WITELWYAROS RAIGANYOFILEBIS SAXELMWIFO AVTOINSPEQTORI G. KAPANAZE GAZETIS FURCLEBZE AQVEYNEBS WITELWYAROELI MZROLEBIS 58 KACIANSIAS, ROMELTAC MTVRAL MDGOMAREOBASI SAWESTAN JDOMIS GAMO MARTVIS UFLEBA CAMOERTVAT, AN DAJARIMDNEN. BAXUSIS MOYVARUL UWESRIGO MZROLTA VINAOBAS GAZETI DETALURAD AKONKRETEBS DA MAT SAQCIELS KICXAVS. AQEDAN 13 MATGANS MARTVIS MOWMOBA AR GAACNDA DA ISE MARTAVDA AVTOMOBILS, NASVAM MDGOMAREOBASI.

○ QVISIANWYLIS TERITORIAZE MDEBARE WITELWYAROS DA MIRZAANIS KOLMEURNEOBATA SAZROEEBIDAN DA SAROREEBIDAN GAMONADENI NAKEL-WUNWUXI DA WUWYIANI WYALI XEOBASI MOEDINEBA DA YUSISXEVISA DA KRANCXISXEVIS WYALSACAVEBSI IYRISTAVS. ES MDGOMAREOBA KI DARUPVAS UQADIS IQ MOSENEBUL TEVZS.

○ SOFEL GAMARJVEBIS KOLMEURNEOBIS MUSAM, AXMETASI MCXOVREBMA ELIZBAR GAURGASVILMA AMAVE KOLMEURNEOBIS VENAXIDAN GAITACA 130 KG YURZENI, ROMLIS RIREBULEBAM 53 MANETS GADAAWARBA. MAN YURZENI GADASCA Q. BATUMSI MCXOVREB TARIELASVILS. AMAVE SOFLIS VENAXEBIDAN SAGAREJOSI MCXOVREBMA MOQALAQE GUMBAT BASIR-ORLI MAMEDOVMA AMAVE KOLMEURNEOBIS MEQANIZATOR NIZAM GUSEINOVTAN ERTAD GAITACA 230 KG YURZENI. AMAVE KOLMEURNEOBIS SEMDUREBELMA GOGIA GIGAURMA VENAXEBIDAN DAITACA 340 KG YURZENI.

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# რატომ არ ემთხვევა სტატისტიკა დაავადებათა რეალურ მონაცემებს

***სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საქართველოში სიკვდილიანობის მთავარი ფაქტორები გამოიკვლია. სხვა დაავადებებს შორის გარდაცვალების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სიმსივნეა. სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო 3 წლის განმავლობაში, 2013-2016 წლებში, სიმსივნის შედეგად გარდაცვლილ პირთა რაოდენობა იზრდებოდა. სტატისტიკა 35%-იან სხვაობას იძლევა. რიცხვების ამგვარ ინტერპრეტაციას არ ეთანხმება ჯანდაცვის სამინისტროს, სადაც აცხადებენ, რომ სიმსივნის გარდაცვალების სტატისტიკის ზრდის მიზეზი არა კიბოს შემთხვევების ზრდა, არამედ დაავადების რეგისტრაციის თანამედროვე სისტემის დანერგვაა. ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი დავით სერგეენკო საუბრობს იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ცდომილება რეალობასა და სტატისტიკას შორის.***

**– გთხოვთ, აგვიხსნათ, რამ გამოიწვია ეს გაუგებრობა სტატისტიკურ მონაცემებში?**

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთ საკითხებზე იყოს არა მხოლოდ ციფრები, არამედ შედარებით ღრმა ანალიზი. 2015 წლამდე საქართველოში ყოველწლიურად კიბოს 7 000 ახალი შემთხვევა რეგისტრირდებოდა, თუმცა ასევე ყოველ წელს ჩვენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გვატყობინებდა, რომ ეს მონაცემები არასწორი იყო, რადგან მათ აქვთ სპეციალური შეფასების ინსტრუმენტები, რომლითაც საქართველოში არა 7 000, არამედ 12 000 ახალი შემთხვევა იყო მოსალოდნელი. 2015 წლის პირველი იანვრიდან ჩვენ რეგისტრაციის სისტემა შევცვალეთ და გადავედით თანამედროვე რეგისტრზე, რომელსაც ყველა განვითარებული ქვეყანა იყენებს და რომელმაც პირველივე წელს 10 000 ახალი შემთხვევა გვაჩვენა. ხაზი მინდა გავუსვა, ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ საკუთრივ შემთხვევების რაოდენობამ მოიმატა, არამედ გაიზარდა რეგისტრაციის სიზუსტე. ასევე მეორეს მხრივ, ერთგვარად გამარტივებულია გარდაცვალების რეგისტრაცია და თუ ადრე 50% იყო „გარდაცვალება დადგენილი მიზეზის გარეშე“, ახალმა რეგისტრაციის სისტემამ საშუალება მოგვცა გაგვენახევრებინა, 25%-მდე ჩამოგვეყვანა ეს დაუდგენელი მიზეზი. ამ ორი ფაქტორის ერთობლიობამ გამოიწვია ის, რომ რეგისტრირებული რიცხვები არის უფრო მაღალი, თუმცა შემთხვევები წინა წლებშიც იგივე იყო.

**– რეალობა როგორია? გვაქვს თუ არა დღეს მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რეალურად იზრდება თუ მცირდება კიბოს შემთხვევები საქართველოში?**

– რეალობაზე საუბრისას ჩვენ გლობალურად უნდა გადავხედოთ ონკოლოგიურ დაავადებებს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ტექნოლოგიური გარღვევები ხდება, როგორც ქირურგიაში, ასევე თერაპიაში და ასევე სხივურ თერაპიაში, ჯამში, თუ მიდგომები მნიშვნელოვნად არ შეიცვალა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნაა, რომ უახლოესი წლების განმავლობაში შემთხვევების ზრდის მყარი ტენდენციაა მოსალოდნელი. რა უნდა დავუპირისპიროთ ამას?! დაპირისპირების სამი ძირითადი ინსტრუმენტია.

**(გაგრძელება გვ.8)**

**მონატრებაა**

## მიშიკო ხარაშვილი



გაუსაძლისი ტკივილით გადაფურცლა დრომ უშენობის 8 წელი. დაბადების დღეს გილოცავთ, შვილო, 25-ში 30 წლის ხდები ჩვენო დიდო ტკივილო, ჩვენო ვაჟკაცო, გვენატრები ყველას. რვა წელი გავიდა, ყოველ საღამოს, ასე მგონია, შემოაღებ კარს და მოხვალ. გელოდებით, მაგრამ ამაოდ... ღმერთო, ნუ მოაკლებ ღვთიურ ნათელს ჩემს მიშიკოს. დაე, შენს სახელზე დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში, ჩვენო დაუვიწყარო მიშიკო.

**შენი ბებია** თამარი **და**
**პაპა** მიხეილ გოგოჭურები.

შვილები: გივი, ლეილა, სოსო; რძლები: ნელი ჯაოშვილი, ქეთინო ყოჩიაშვილი; ძმა ლუხუმი, და როენა. ცოლისძმა ელგუჯა თეთვაძე, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით, შვილიშვილები: ლაშა, სოფიკო, თორნიკე, მირანდა, დიტო, თამუნა, გიორგი, შვილთაშვილები, სიძეები და რძლები იუწყებიან

დიმიტრი თევდორეს ძე ბოსტოღანაშვილის

გარდაცვალებას.დაიკრძალა ქ. დედოფლისწყაროში 19 ოქტომბერს.

ნინო ჩოხელი, ვალიკო, ნატო და ნოდარ ახალაურები იუწყებიან მეგობრის

თენგიზ ოხანაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მანანა, ნათია და ირაკლი ოხანაშვილებს.

უახლოესი მეზობლების სახელით ნიაზი ჯანაშვილის ოჯახი იუწყება

ზიზო პაპაჩაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ლია, მარინე, მზია პაპაჩაშვილების ოჯახებს.

მერი კოჭლამაზაშვილი თანაგრძნობას უცხადებს ზინა ძელურს და ალიკა პოპიაშვილს შვილიშვილისა და შვილის

გიორგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ვაჟა და ლია გონაშვილები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ზინა ძელურს და ალიკა პოპიაშვილს შვილიშვილისა და შვილის

გიორგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ვანო, ინგა, ირმა შიოლაშვილები, ეთერ ჟიჟიაშვილი იუწყებიან

ცისკარა ალადაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

# რატომ არ ემთხვევა სტატისტიკა დაავადებათა რეალურ მონაცემებს

(მეშვიდე გვერდიდან)

პირველი, არის პრევენცია, შემთხვევების მესამედის პრევენცია, თავიდან აცილება შეიძლება გარკვეული ზომების ჩატარებით; მეორე - ეს არის ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოში შემთხვევათა 50%, როდესაც პაციენტი ექიმთან მიდის, უკვე მე-3, მე-4 სტადიისაა და მკურნალობა, რა თქმა უნდა, გართულებულია; და მესამე ინსტრუმენტი არის საკუთრივ მკურნალობა.

**– რა ხდება ამ მხრივ საქართველოში და როგორ მიმართებაში ვართ სხვა ქვეყნებთან**

– საბედნიეროდ ჩვენ არ შევდივართ იმ 50 ქვეყნის სიაში, რომელშიც ონკოლოგია ყველაზე მაღალია გავრცელებით, მაგრამ დამშვიდების საშუალებას ეს არ გვაძლევს და ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით. კონკრეტულ მაგალითებს გეტყვით, ჰეპატიტი ღვიძლის კიბოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მკურნალობის გარეშე საბოლოოდ ციროზამდე და კიბომდე მიდის. საბედნიეროდ, ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტმა ჩვენ საშუალება მოგვცა ამ მხრივ რეალური გარღვევა გაგვეკეთებინა. ასევე, მეორე, ბავშვებში ვაქცინაციის გეგმიურ ცხრილში პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შემოღება, რომელიც ჩვენ შარშან დავიწყეთ, ესეც მტკიცებულებაზე დაფუძნებული ჭეშმარიტებაა, რომ ქალებში საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეების რისკს ამცირებს. მინდა ხაზგასმულად ვთქვა, საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი და უფასოა ეგრეთ წოდებული სკრინინგული კვლევები, რომელიც საშუალებას იძლევა ადრეულ ეტაპზე აღმოვაჩინოთ მაგალითად, ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბო, რომელიც ქალების მესამედზე მოდის. პირველ სტადიაზე აღმოჩენილი ეს დაავადება პრაქტიკულად 100%-ით იკურნება. ჩვენ არაფრით უარეს მდგომარეობაში არ ვართ, ვიდრე მაგალითად, ევროპის ქვეყნები და აშშ, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს და ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არის ამ მხრივ გადასადგმელი.

**– სკრინინგის პროგრამები უკვე წლებია არსებობს, მაგრამ თქვენი შეფასებით, გვაქვს თუ არა პროგრესი ადრეულ ეტაპზე გამოვლენის კუთხით? შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ პროგრამებს მეტი პოპულარიზაცია სჭირდება.**

– აბსოლუტურად გეთანხმებით, სკრინინგის პროგრამები რამდენიმე წელია დაწყებულია. თუ სწორად მახსოვს, 2010 წლიდანაა დაწყებული ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი პროგრამა. თუ იგივე მამოგრაფიის, მკერდის კიბოს ადრეულ სტადიაზე აღმოჩენის მოცვა იყო სადღაც 7-8%, ახლა ეს არის 24%. გაიზარდა, მაგრამ ისევ დაბალია. 24% ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ ჩვენ რეალურ ეფექტურობაზე ვილაპარაკოთ. რა თქმა უნდა, ამაზე მუშაობა მიმდინარეობს და ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო ქმედითი, ეგრეთ წოდებული ნეგატიური და პოზიტიური სტიმულირების მექანიზმები ავამუშაოთ სკრინინგის მხრივ.

**– ცხოვრების ხარისხის დონეს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, ალბათ, ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კიბოსთან ბრძოლის კუთხით. თვითმმართველობის არჩევნების წინ მინდა გავიხსენო „ოცნების“ პროგრამა და რამდენიმე თვეა ვისმენთ იმას, რომ თბილისი მწვანე ქალაქი უნდა იყოს, რომ რადიკალური ცვლილებები უნდა განხორციელდეს ავტოტრანსპორტის სფეროში, ის, რომ მანქანების ტექნიკური დათვალიერება უნდა შემოვიდეს... თქვენ, როგორც ჯანდაცვის მინისტრი, ამ ინიციატივების მნიშვნელობას როგორ შეაფასებდით?**

– ეს ინიციატივები ძალიან მნიშვნელოვანია. დამტკიცებული ჭეშმარიტებაა, რომ სიმსივნური დაავადების მესამედის პრევენცია შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში იქნება ეფექტური მექანიზმები თამბაქოს კონტროლის და თამბაქოს მოხმარების შემცირების. საბედნიეროდ, პარლამენტმა მიიღო ეს კანონი და იმედი მაქვს, რომ ის ეფექტური აღმოჩნდება; მნიშვნელოვანია თუ ქვეყანაში არის მწყობრი სისტემა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, რადგან ჭარბი წონა და ცხოვრების პასიური რეჟიმი არა მარტო ესთეტიკური ფაქტორია, არამედ პირდაპირ კავშირშია თუნდაც იგივე ონკოლოგიასთან, თავი რომ დავანებოთ სხვა დაავადებებს; ძალიან მნიშვნელოვანია ჰაერის ხარისხი და მთლიანობაში ეს ფაქტორები. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად გადამწყვეტი როლი აქვთ, რომ მართლაც რაღაც მნიშვნელოვანი გარღვევა, მნიშვნელოვანი პროგრესი მოხდეს ამ მხრივ. ჩემი შეფასებით, ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობს და ეს უკვე ჩვენი და საზოგადოების მხარდაჭერის საკითხია, რამდენად შევძლებთ ამ გამოწვევების დაძლევას.

**– პარლამენტი ნარკოპოლიტიკის საკითხს განიხილავს. როგორც ჩანს, საკანონმდებლო ორგანოში კონსენსუსი არ არის და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებს, როგორც თავად ამბობენ, მაინც უფრო კონსერვატიული პოზიცია აქვთ. როგორია თქვენი დამოკიდებულება ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მიმართ?**

– ნარკოპოლიტიკა მარტივი საკითხი არ არის და არავის არ უნდა შეექმნას ისეთი წარმოდგენა, რომ მთავრობა, აღმასრულებელი ხელისუფლება ან პარლამენტი თავიდან ირიდებს პასუხისმგებლობას და უბრალოდ გადაავადებს გადაწყვეტილებას. გარკვეული წრეებიდან გაკიცხვა ხშირად მომისმენია, რომ ჩვენგან იმის თქმა, რომ ეს რთული და კომპლექსური საკითხია, ნიშნავს, რომ უბრალოდ პასუხისმგებლობის აღება არ გვინდა. პასუხისმგებლობის აღება და გადაწყვეტილების მიღება ჩვენი მოვალეობაა. მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ამას ხისტი, ჯადოსნური გასაღები არ აქვს. ამას კომპლექსური მიდგომა სჭირდება და მჯერა, რომ ყველა მოტივირებულია იმისთვის, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის უკეთესი შედეგი და უკეთესი პოლიტიკა მივიღოთ ამ მხრივ. ნამდვილად არავინ არ არის დაინტერესებული ერთი მხრივ რეპრესიით, ან მეორე მხრივ, უკონტროლო დეკრიმინალიზაცია-ლიბერალიზაციით, რომელიც მართლა სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს. უნდა მოიძებნოს სწორი, რეალური ოქროს შუალედი და ის განხორციელდეს.

## ულოცავენ!

### დავით ბიღიაშვილს!
### ნათია ხეოშვილს!



გილოცავთ ქორწინებას, იყავით ბედნიერები. გამრავლდით, გაიხარეთ და გაუხუნარი სიყვარულით შეაბერდით ერთმანეთს.

დათო, შენ ჩვენს თვალწინ დაიბადე და გაიზარდე, კარგი ახალგაზრდა ხარ და ამიტომ ძალიან გვიყვარხარ. გვიხარია, რომ მამა-პაპისეულ კერაზე მოაწყე შენი ბუდე და უბანს ახალგაზრდული სული ჩაბერე.

*სიყვარულით, მეზობლები:*
ნაირა გორაშვილი, მევლუდ გიგოლაშვილი, ავთანდილ ლეკაშვილი, ბესიკ და სპარტაკ ზალდასტანიშვილები, გია გოგოშვილი ოჯახებით.

### მარეხი ბიკაშვილს!

ჩვენო საყვარელო, ძვირფასო გოგონა, გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენი ოჯახის სიამაყევ, შენ 28 ოქტომბერს 8 წლის გახდები. დიდ სიყვარულს, სიხარულს და ბედნიერებას გისურვებთ შენს პატარა დაიკოებთან - ხათოსთან, ანისთან და საყვარელ მშობლებთან ერთად.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**სიყვარულით,** შოთა პაპა და ნანა ბებო.

### ალექსი არაბულს!
### ეთიკო ლოქოკელს!

ჩვენო სიხარულებო, ალექსი და ეთიკო, გილოცავთ ჯვრისწერას და ქორწინებას, გისურვებთ ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას, გამრავლებას. თქვენ ხართ ჩემი მინდიას და ლიას პირველი სიხარულები. გვინდა, ვამაყობდეთ თქვენით, იმედიანო წყვილებო.

**ბებო** ეთერ ნაროზაული-ლიქოკელი, **ძმები**: ვეფხო, ლაშა, ნიკა; **მამიდა** ნათია ლიქოკელი; **ბიძაშვილები**, **მამიდაშვილები**.

### ეკა და ვასიკო ალუღიშვილებს!

ჩვენო საყვარელო შვილებო, ეკა და ვასიკო, გილოცავთ ჩვენი პირველი სიხარულის თენგიზის თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ჩარიცხვას.

ვუსურვებთ წარჩინებით სწავლას, წარმატებულ სტუდენტობას და უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის ღირსეულად გამოყენებას.

**დიდი სიყვარულით პაპა** გივი, **ბებია** ლია, **ბიძა** კახა, **ბიცოლა** მაკა, **ბიძაშვილები** ლიკა და ნიკა ჩიტიშვილები.

# რა შეუძლია დღეში მხოლოდ 1 კოვზ თაფლს

ამერიკელი ექიმების აზრით, თაფლი ყველაზე სასარგებლო პროდუქტია. ყოველდღიურად მხოლოდ ერთი კოვზი თაფლის მიღება საკმარისია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თაფლს მძლავრი ანტიოქსიდანტის თვისება გააჩნია და ორგანიზმს ტოქსინებისგან ათავისუფლებს. გარდა ამისა, თაფლს ანტიბაქტერიული თვისებები გააჩნია, რაც კანის მდგომარეობას აუმჯობესებს. თაფლი მათთვისაც ნაჩვენებია, ვისაც გახდომა სურს.

თაფლის შაქარი ტკბილეულში არსებული შაქრისგან განსხვავდება. თაფლი აჩქარებს მეტაბოლიზმს, რაც წონაში დაკლებაში გვეხმარება. ის ქოლესტერინის დონესაც აქვეითებს. თაფლი შიგნიდან ასუფთავებს სისხლძარღვებს. თაფლში არსებულ ბუნებრივ შაქარს (ტრეგალოზა) გულის შეტევის პროფილაქტიკა შეუძლია. აღნიშნული შაქარი ააქტიურებს ცილა TFEB, რომელიც იმუნურ უჯრედებს (მაკროფაგებს) არტერიებიდან ცხიმოვანი ჩანართების მოშორებას აიძულებს. ამდენად, რეალურად მცირდება ათეროსკლეროზის რისკი, რის გამოც არტერიები კარგავს ელასტიურობას, მაღლა იწევს წნევა და ვითარდება გულის სერიოზული დაავადებები.



ათეროსკლეროზის დროს, ჩვეულებრივ მაკროფაგებს არ შეუძლია ჩანართებისგან სისხლძარღვების გათავისუფლება, იმდენად რამდენადაც უფრო მეტად ფოკუსირდებიან ანთებაზე. ტრეგალოზა კი აძლიერებს მაკროფაგების მოქმედებას.



## იყიდება!



ქ. დედოფლისწყაროში, რაიონის საავადმყოფოსთან იყიდება კაპიტალური ფერმა რამდენიმე შენობით: ძროხების ძირითადი სადგომი (356 მ²), სადაც პირველსა და მეორე სართულზე განთავსებულია საცხოვრებელი ოთახები; (ღორების სამყოფელი (155 მ²); წყლის დიდი აუზი თევზების მოსაშენებლად (315 მ2), საქათმე (55 მ²); ჭა თავისი წყლის საქაჩით, ელექტროგაყვანილობით ( შეყვანილია ყველა შენობაში დენი). დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. ტერიტორია შემოღობილია მავთულის ბადით. ფასი 100 000 $

საკონტაქტო ტელეფონი: 599 55 90 20 (ლალი)


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 23.10 | | სამშაბათი 24.10 | | ოთხშაბათი 25.10 | | ხუთშაბათი 26.10 | | პარასკევი 27.10 | | შაბათი 28.10 | | კვირა 29.10 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 14 ° | 12 ° | 10 | 9 ° | 14 ° | 12 ° | 18 ° | 15 ° | 14 ° | 8 ° | 6 ° | 5 ° | 7 ° | 5 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.